საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

შპს ,,გორა"-ს მდებარე: ქ. ბათუმი წერეთლის მე-2 შესახვევი
დირექტორის ედუარდ შარაშიძეს

სკრინინგის განაცხადი

ბატონო ლევან.

გაცნობებთ, რომ შპს ,,გორა" გეგმავს ქალაქ ბათუმში, დაბა ხელვაჩაური, შესახვევი წერეთლის #2 -ში, ინერტული მასალების სამსხრევ-დამხარისხებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლოატაციას.

ვინაიდან ინერტული მასალების სამსხრევ-დამხარისხებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლოატაციის პროექტი შეესაბამება , საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის"-ს მე-2-ე დანართის მე-5 პუნქტის ,,მინერალური ნედლეულის გადამუშავება" 5.1 პუნქტის ,,სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება" გათვალისწინებულ საქმიანობას - პროექტისათვის მომზადებული იქნა თანდართული სკრინინგის განაცხადი.

გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას, იმის შესახებ ,რომ საჭიროებს თუ არა წარმოდგენილი პროექტი გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) და გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

დანართი: 18 ფურცელი

პატივისცემით,
ედუარდ შარაშიძე

GORA
445541717
GEORGIA LTD

შპს ,,გორა"-ს დირექტორი

№ 15828
07 10 2020
1/26

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრის მოადგილეს ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

შპს „გორა"-ს დირექტორის ედუარდ შარაშიძეს
მდებარე: ქ. ბათუმი წერეთლის მე-2 შესახვევი

განცხადება

ქალბატონო ნინო,

ჩვენი 2020 წლის 7 ოქტომბრის სკრინინგის #15828- განაცხადზე, დამატებით წარმოგიდგენთ, დაზუსტებულ ინფორმაციას, რომელიც ეხება შპს ,,გოვა"-ს მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განაცხადში დაფიქსირებულ ტექნიკური ხარვეზს, რომ საწარმოს წლის განმავლობაში დაგეგმილი აქვს 80 000 კბმ (112 000 ტონა, ქვიშა-ხრეშის) გადამუშავება, შესაბამისად **საათობრივად ნაცვლად 60 კუბური** მეტრი გადამუშავებისა - **გადამუშავდება 35** კუბური მეტრი ქვიშა-ხრეში. საწარმო იმუშავებს წლის განმავლობაში 300 დღეს, 8 საათი დღეში.

ქვიშა-ხრეშის გადამუშავების მაჩვენებლები ერთ საათში შეადგენს 35 კბმ (51 ტ) ქვიშა-ხრეში, შესაბამისად მიიღება 7 ტონა ქვიშა 0-3 მმ; 11,0 ტონა 0-5 მმ; 5-10 მმ -14 ტონა და 19 ტონა 10-20 მმ ფრაქციის ღორღი.

გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

პატივისცემით,
ედუარდ შარაშიძე

შპს „გორა"-ს დირექტორი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
№ 16055
"12" 10 2020
1
03

შპს ,,გორა''-ს

მდებარე: ქალაქი ბათუმი, დაბა ხელვაჩაური შესახვევი წერეთლის #2

ინერტული მასალების სამსხრევ-დამხარისხებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლოატაციის პროექტის სკრინინგის განაცხადი

2020 წელი

სარჩევი

შესავალი---------- 3

1. სკრინინგის ანგარიშის მომზადების საკანონმდებლო საფუძველი---------- 4

2. დაგეგმილი საქმიანობის მოკლე არწერა ---------- 5

3. საწარმოს განთავსების ადგილი ---------- 5

4. ტექნოლოგიური პროცესის აღწერა----------5

5. მოწყობის სამუშაოები----------6

6. გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების ფაქტორები---------- 6

6.1 ზემოქმედების მოკლე აღწერა---------- 6

6.2 ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიები და ხმაურის გავრცელება---------- 7

6.3 ნიადაგისა და გრუნტის დაბინძურების რისკები----------7

6.4 ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურების რისკები----------7

6.5 ნარჩენები და ნარჩენების მართვა----------8

6.6 ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე----------8

6.7 ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზე---------- 8

6.8 ზემოქმედება სოციალურ გარემოზე---------- 8

7. გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები ----------9

შესავალი

წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიში შეეხება ქალაქ ბათუმში, დაბა ხელვაჩაური, სამრეწველო ზონის ტერიტორიაზე არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე ქვა-ღორღის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა - ექსპლოატაციის პროექტს. საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიის, შპს ,,გორა''-ს საკონტაქტო ინფორმაცია მოცემულია ცხრილში.

1.	საქმიანობის განმახორციელებელი კომპანია	**შპს " გორა "** (ს/ნ:445541717)
2.	სამართლებრივი ფორმა	**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**
3.	იურიდიული მისამართი, მათ შორის, ფილიალის/წარმომადგენლობის მისამართი, ასეთის არსებობის შემთხვევაში	საქართველო, აჭარის ა/რ, ქ. ბათუმი, შესახვევი წერეთლის 2.
4.	საქმიანობის განხორციელების ადგილის მისამართი	**ქალაქი ბათუმი, დაბა ხელვაჩაური, შესახვევი წერეთლის 2.** **GPS-კორდინატები:** **X - 0719874** **Y -4607304**
5.	საქმიანობის სახე	სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება
6.	ხელმძღვანელის და გარემოსდაცვითი მმართველის სახელი, გვარი, ელექტრონული ფოსტის მისამართი	**დირექტორი** - ედუარდ შარაშიძე ტ.: 593414345 ელ-ფოსტა: limited.gora@gmail.com

1. **სკრინინგიგის ანგარიშის მომზადების საკანონმდებლო საფუძველი**

შპს ,,გორა"-ს მიერ დაგეგმილი საქმიანობა გულისხმობს სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებას. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის კოდექსის 2 დანართის 5.1 თავის მიხედვით სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას. გამომდინარე აქედან აღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს სკრინინგს დაქვემდებარებულ საქმიანობას.

საქმიანობის სკირინგი

სამიანობის განმახორციელებელი ვალდებულია საქმიანობის დაგეგმვის შემლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე სამინისტროს წარუდგინოს დაგეგმილი საქმიანობის სკრინინგის განცხადება და სამინისტროსგან მიიღოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს.

საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სამინისტროსათვის წარდგენილი სკრინინგის განცხადება, საქართველ;ოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა უნდა მოიცავდეს:

-მოკლე ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ;
-ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების, განხორციელების ადგილისა და შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ.

სკრინინგის განცხადების რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში სამინისტრო უზრუნველყოფს ამ გაცხადების თავის ოფიციალურ ვებგვერდზე და შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსებას. საზოგადოებას უფლება აქვს სკრინინგის განცხადების ვებგვერდსა და საინფორმაციო დაფაზე განთავსებიდან 7 დღის ვადაში , ამ კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით წარუდგინოს სამინისტროს მოსაზრებები და შენიშვნები ამ განცხადებასთან დაკავშირებით. სამინისტრო იხილავს საზოგადოების მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებსა და შენიშვნებს და შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში მხედველობაში იღებს მათ სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
სკრინინგის განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 10 დღისა და არაუგვიანეს 15 დღისა სამინისტრო იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზს-ს.
თუ სამინისტრო სკრინინგის პროცედურის დასრულების შემდეგ დაადგენს, რომ დაგეგმილი საქმიანობა გზს-ს არ ექვემდებარება, განმცხადებელი ვალდებულია დაიცვას საქართველოში არსებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნები და გარემოსდაცვითი ნორმები.
სკრინინგის პროცედურის დასრულებიდან 5 დღის ვადაში სამინისტრო უზრუნველყოფს დასაბუთებული სკრინინგის გადაწყვეტილების თავის ოფიციალურ ვებგვერდზე და შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსებას.

2. დაგეგმილი საქმიანობის მოკლე აღწერა

2.1 საწარმოს განთავსების ადგილი

წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიში შეეხება სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლოატაციას, რომელიც დაგეგმილია ქალაქ ბათუმში, დაბა ხელვაჩაური წერეთლის მე-2 შესახვევში, ს/ს ,,მეტრო ბეტონი"-ს საკუთრებაში 51555 კვადრატული მეტრი ფართობიდან (საკადასტრო კოდი 05.35.28.525) 9000 კვადრატულ მეტრ ფართობზე, აღნიშნული მიწის ნაკვეთი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა, რომელიც 10 წლიანი საიჯარო ხელშეკრულებით - შპს ,,გორა"-ს გაფორმებული აქვს 2019 წლის 1 იანვარს.

მოცემულ ტერიტორიაზე განთავსდება 8 ერთეული სხვადასხვა დანიშნულებისა და წარმადობის ჰაერდამაბინძურებელი არაორგანიზებული წყარო, მათ შორის:

-ინერტული მასალის პირველადი და მეორადი მტვრევის აგრეგატი;

- ინერტული მასალის მესამეული მტვრევის აგრეგატი;

ინერტული მასალის (ღორღი) 2 საწყობი ღია ცის ქვეშ;

ინერტული მასალის (ქვიშა) 2 საწყობი ღია ცის ქვეშ.

საპროექტო ტერიტორიას სამხრეთით ესაზღვრება მდინარე ჭოროხი, 100 მეტრი დაშორებით, საცხოვრებელი დასახლებიდან 600 მეტრი დაშორებით.

3. ტექნოლოგიური პროცესის აღწერა

საპროექტო ტერიტორიის ფართობი, სადაც ღია ცის ქვეშ განთავსდება ინერტული მასალების სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქროს დანადგარები და აგრეგატები, ქვიშა-ხრეშის, ქვიშისა და ღორღის საწყობები.

ტექნოლოგიური პროცესის სქემა ითვალისწინებს შემდეგ ოპერაციების თანმიმდევრობას:

- ქვიშა-ხრეშის შემოტანა; ⟹ ქვიშა ხრეშის ჩაყრა მიმღებ ბუნკერში; ⟹

ბუნკერიდან ქვიშა-ხრეშის მიწოდება გასაცხავებელ დანადგარში ქვიშის მოსაცილებლად, ამ პროცესში ხრეში მასა ირეცხება წყლის გამოყენებით; ⟹ 4. მიღებული ქვიშის მასის გადატანა გამამდირებელში ქვიშის გასამდიდრებლად; ⟹ 5. ცხავზე დარჩენილი ხრეშის მიწოდება ტრანსპორტიორის საშუალებით ყბებიან სამტრევში; ⟹ 6. ყბებიან სამტვრევში დამტვრეული მასის მიწოდება ტრანსპორტიორის საშუალებით გასაცხავებელ აგრეგატში და გაცხავება; ⟹ 7. ქვიშის გადატანა ტრანსპორტიორით გამამდიდრებელში, სადაც ტრანსპორტიორის გამოყენებით გადადის ქვიშის საწყობში.

დაქუცმაცებული ღორღი და ქვიშა, ზომებით 0-დან -3 მმ; 0-დან 5 მმ-მდე, 5-10 და 10-20 მმ ფრაქციების მიღება -დასაწყობება და 20 -მმ-ზე მსხვილი ფრაქციის გადატანა როტორულ სამსხვრევში, სადაც დამსხვრევის შემდეგ მიეწოდება გასაცხავებელ მოწყობილობას, პროცესი მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში.

4. **წარმადობა და ტექნოლოგიური რეჟიმი**

საწარმოს წლის განმავლობაში დაგეგმილი აქვს 80 000 კბმ (112 000 ტონა, ქვიშა-ხრეშის გადამუშავება, დაახლოებით 33 600 ტონა ქვიშის (გამოსავალი 30 %) და 62 400 ტონა ღორღის (გამოსავალი 57 %) დამზადება. დანაკარგი რეცხვისას შეადგენს 10 %-ს (რეცხვისას წყალს მიყვება თიხოვანი და მტვეროვანი მინარევები).

საწარმო იმუშავებს მთელი წლის განმავლობაში დღეში 8 საათი., 300 სამუშაო დღე. ექსპლოატაციის ეტაპზე დასაქმებული იქნება 15 ადამიანი.

4.დაგეგმილი საქმიანობის აღწერა

ტექნოლოგიური პროცესის აღწერა

ნედლეული - ბუნებრივი რესურსი ქვიშა-ხრეში შემოიზიდება მდინარე აჭარისწყლის საბადოდან ლიცენზირებული კომპანიების მიერ და ჩაიყრება მიმღებ ბუნკერში. მიმღები ბუნკერიდან ჩაიყრება უშუალოდ მის ქვეშ დამონტაჟებულ გამაცხავებელ მოწყობილობაში, იქ წყლის გამოყენებით რეცხვისა და გაცხავების შედეგად მიღებული ქვიშა წყლიანი ქვიშის გამტარი ღარის საშუალებით მიეწოდება გამადიდრებელს, ხოლო საცერზე დარჩენილი ხრეშის მასა - ყბებიან სამტვრევს, სადაც მასის მტვრევისას შემდეგ დამტვრეული მასა მიეწოდება გამაცხავებელ მოწყობილობაში. გაცხავების შემდეგ იყოფა ფრაქციებად 0-3 მმ; 0-5 მმ ქვიშა; 5—10 მმ და 10-20 მმ ღორღი. ქვიშა ტრანსპორტიორის გამოყენებით მიეწოდება გამამდიდრებელს, 5-10 და 10-20 მმ ღორღი იყრება ქვიშისა და ღორღის საწყობში, ხოლო 20 მმ-ზე მსხვილი ფრაქციის ღორღი მიეწოდება ტრანსპორტიორით ხელმეორედ დასამტვრევად როტორულ სამტვრევში. აღწერილი პროცესი მიმდინარეობს უწყვეტად. ერთ საათში გადამუშავდება 60 კბმ (87 ტ) ქვიშა-ხრეში და მიიღება 12 ტონა ქვიშა 0-3 მმ;, 20,0 ტ. 0-5 მმ; 5-10 მმ -27 ტდა 28 ტონა 10-20 მმ ფრაქციის ღორღი. მასალების წონა აიღება გამომშრალ მდგომარეობაში. მასალების დამზადების პროცესში მათ გასამდიდრებლად გამოიყენება წყლით რეცხვა ქვიშის გამამდიდრებელში და გასაცხავებელ მოწყობილობებში გადამუშავებისას.

5. წყალმომარაგება და წყალარინება

საწარმოს სასმელი წყლით მომარაგება მოხდება სამშენებლო ტერიტორიასთან არსებული ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან, ხოლო საწარმოს ტექნოლოგიურ პროცესში ტექნიკური დანიშნულების წყალს აიღებს ჭაბურღილიდან მიწისქვეშა მტკნარ წყალს, არსებული წესების და პირობების დაცვით.

ტექნიკური დანიშნულებით დღეში მოიხმარს 300 კუბურმეტრ წყალს, წელიწადში დანაკარგის გათვალისწინებით 100 000 კუბურმეტრ წყალს.

საწარმოს ტერიტორიაზე მოეწყობა საპიფარეშო და საშხაპე ლოკალური გამწმენდი სალექარით, საპიფარეშო და საშხაპე ერთმანეთთან დაკავშირებული იქნება სეპტიკურ აუზთან რომლის ზომები იქნება 2X3X3. სეპტიკური ავზის გაწმენდვას უზრუნველყოფს ადგილობრივი კომუნალური მეურნეობის სამსახური, სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე.

საწარმოს მოედანზე არსებული წყლების გაწმენდვისთვის მოეწყობა სამ და ორფაზიანი გამფილტრავი ავზები, მათი ზომებია: პირველი ავზი 12X3X8 მოცულობა - 288 $მ^3$. მეორე ავზი ანალოგიური 12,0X3X8 -მოცულობით 288 $მ^3$. ტექნოლოგიაში წყლის გამოყენებისთვის სამსხვრევ-დამხარისხებელ უბანთან მოეწყობა 20 $მ^3$ მოცულობის რეზეუარი. საწარმოო მოედანზე წარმოქმნილი ჩამდინარე წყლები ბეტონის იატაკის გავლით ჩაედინება სამფაზიან გამფილტრავ ავზში, ხოლო შემდეგ ორფაზიან გამფილტრავ ავზში და მხოლოდ იმის დადასტურების შემდეგ რომ წყალი არ იქნება დაბინძურებული შემდეგ ჩაედინება მდინარე ჭოროხში.

ეზოს შესვლელი და გასასვლელი აღჭურვილი იქნება მანქანების საწმენდი დანადგარით ხოლო ჩამდინარე წყალი ჩაედინება გამფილტრავ ავზში სადრენაჟო არხის მეშვეობით.

საწარმოს ჩრდილოეთ მხარეს მოეწყობა სანიაღვრე არხი, სადაც მოხდება წვიმის წყლის შეგროვება. სანიაღვრე წყლები ჩაედინება შემდეგ ორფაზიან გამფილტრავ ავზში.

6. ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ელემენტები

საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულია შემდეგი ინფრასტრუქტურის ელემენტები:

- ქვიშა ხრეშის მიმღები ფოლადის ბუნკერი;
- ქვის ყბებიანი სამტვრევი;
- ქვის როტორული სამსხვრევი;
- დამსხვრეული მასალის გამაცხავებელ-დამხარისხებელი2 აგრეგატი
- ქვის გამამდიდრებელი;
- ტრანსპორტიორები, რომლებიც ახორციელებენ:
  1. ქვიშა-ხრეშის მიწოდებას ყბებიან და როტორულ სამსხვრევში;
  2. ქვიშის მიწოდებას გამამდიდრებელში
  3. დამსხვრეული მასალის მიწოდებას გამაცხელებელ-დამახარისხებელ აგრეგატებში;
  4. არასაკმარისად დამსხვრეული მასალის უკან მიწოდებას სამსხვრევში ხელმეორედ სამსხვრევად;
  5. ქვიშისა და ღორღის მიწოდებას შესბამის საწყობებში;
  6. საოპერატოროს შენობა ფართით- 4 კვ.მ.

.7. გამოყენებული ბუნებრივი რესურსები

საწარმო ფუნქციონირების პროცესში გამოიყენებს შემდეგი სახის ბუნებრივ რესურსებს:

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს 9000 $მ^2$, საიჯარო ხელშეკრულებით, რომლის მესაკუთრეა ს/ს „მეტრო ბეტონი“, აღნიშნულ ფართობზე განთავსებულია საწარმოს ინფრასტრუქტურა.

მიწისქვეშა წყალს ინერტული მასალის გადასამუშავებლად და მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის, საწარმოს სარგებლობაში არსებულ ტერიტორიაზე ჭაბურღილიდან, მიწისქვეშა მტკნარი წყლის გამოყენების ლიცენზიის ასაღებად უახლოეს

დღეებში შეტანილი იქნება განაცხადი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში;

აჭარისწყლის საბადოს ქვიშა ხრეშს წელიწადში 80 000 მ³ (კბმ) ოდენობით.

8.0 საწარმოს ექსპლოატაციისას გარემოზე შესაძლო ზემოქმედება

საწარმოს ფუნქციონირებისას ზემოქმედება ხორციელდება ატმოსფერულ ჰაერზე ინერტული მასალის სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქროების მუშაობის შედეგად და მასალების ნარეცხი წყლების ჩაშვებისას მდინარე ჭოროხში.

8.1 ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედება

საამქროდან წლის განმავლობაში ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა მტვრის რაოდენობა ტოლია -12,36 ტ/წ.

ანგარიში ჩატარებულია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება #435 "დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო აპარატების სტაციონარული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდიკის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" გამოყენებით.

8.2 ზემოქმედება წყლის რესურსებზე

ჭაბურღილიდან ამოღებული მიწისქვეშა მტკნარი წყალი გამოიყენება ინერტული მასალების რეცხვისთვის და მუსა მოსამსახურეთა სამეურნეოსაყოფაცხოვრებო დანიშნულებისათვის წელიწადში დაახლოებით 100 000 კბმ-ოდენობით.

8.3 ხმაურის ზემოქმედება

საწარმოს მოწყობილობებს ყბებიან და როტორულ სამსხვრებებს და გამაცხავებლებს მუშაობის პროცესში აქვთ გარკვეული ხმაური, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ საწარმო 0,7 კმ-ით დაშორებულია უახლოეს საცხოვრებელ სახლიდან, ამ მანძილზე ხმაურის ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო.

8.4 ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები

საწარმო მუშაობს ნარჩენების გარეშე, რადგან ინერტული მასალების სამსხვრევ-დამხარისხებელ საამქროში წარმოქმნილი ნარჩენები ქვიშა-ხრეშის და ინერტული მასალების რეცხვიასას მექანიკურ სალექარში მოხვედრილი წმინდა ფრაქციის მასა რაოდენობით 5000 ტონა, რაც გროვდება მექანიკური გამწმენდი ორმოდან მისი სისტემატური ამოწმენდით. მისი დროებით დასაწყობება ხდება საწარმოს თავისუფალ ტერიტორიაზე და შემდგომში საწარმოს ავტოტრანსპორტით გაიტანება ქალაქ ბათუმის ნაგავსაყრელ პოლიგონზე თავისუფალი ადგილების შესავსებად. ან სხვა შემთხვევაში ხდება მომხმარებლებზე მიწოდება.

საწარმოში - 15 მუშა-მოსამსახურეზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები პერიოდულად გროვდება საწარმოს ტერიტორიაზე არსებულ ნარჩენების შემგროვებელ კონტეინერში, რაც სათანადო ხელშეკრულების შესაბამისად, შპს ,,სანდასუფთავების'' სპეცავტომანქანებით გაიტანება ბათუმის ნაგავსაყრელ პოლიგონზე.

8.5 ზემოქმედება ბუნებრივ ლანდშაფტსა და ბიოლოგიურ გარემოზე

საწარმოს ინფრასტრუქტურა განთავსებულია სწორ რელიეფზე, იგი მნიშვნელოვნად დაცილებულია ტყის მასივებიდან. ადგილზე დაგეგმილი არ არის მიწის ან სხვა სამშენებლო სამუშაოების წარმოება. საწარმოს ფუნქციონირებით მოსალოდნელი არ არის ლანდშაფტზე და ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედება.

8.6 ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადზე

სატრანსპორტო ნაკადებზე იმოქმედებს საწარმოს ტერიტორიაზე ქვიშა-ხრეშის შემოზიდვა. ქვიშისა და ღორღის გაზიდვა, მათი რეალიზაციისას, რაც შეადგენს სრული საპროექტო სიმძლავრით მუშაობის შემთხვევაში ერთ სამუშაო ცვლაში 40-50 რეისის განხორციელება.

8.7 სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება

საწარმოს ფუნქციონირებით შეიქმნება 15 სამუშაო ადგილი, ასევე სამუშაო დატვირთვები გაეზრდება რეგიონში არსებულ სატვირთო მანქანების მფლობელებს. გარდა ამისა პროდუქციის რეალიზაციის შედეგად შემოსული თანხებიდან გადაიხდება სახელმწიფო ბიუჯეტში კანონით დადგენილი გადასახადები, რაც დადებითად აისახება სოციალურ გარემოს გაუმჯობესებაზე.

8.8 ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე

როგორც ცნობილია ინერტული მასალის სამსხვრევ-დამხარისხებელ საამქროში პროდუქციის წარმოება მთლიანად მექანიზებულია. სამსხვრევ-დამხარისხებელ სამქროს ყველა დანადგარი დამონტაჟებულია ღია ცისქვეშ და პროდუქციის წარმოების მართვა ხორციელდება საოპერატოროს დახურული კაბინიდან, რომელიც განთავსებულია სამსხვრევიდან 6 მეტრი დაშორებით და დაცულია მტვერის შეღწევისაგან. ამიტომ უშუალო კონტაქტი დანადგარებთან არავის არ აქვს და ამ მიზეზით მუშა-მოსამსახურეთა ჯანმრთელობაზე უარყოფითი გავლენა არ არის მოსალოდნელი.

7. 9 ავარიული რისკები

ნებისმიერი ობიექტის მოწყობისა და ექსპლოატაციის პროცესს თან სდევს ავარიების წარმოქმნისა და გავრცელების რისკები, რასაც შესაძლებელია მოყვეს ადამიანების დაშავება და მატერიალური ზარალი.
ობიექტის მოწყობა და ექსპლოატაცია დაკავშირებულია მძიმე ტექნიკის გამოყენებასა და სატრანსპორტო გადაზიდვებთან, ამიტომ არსებობს რისკი ავტომანქანების ერთმანეთთან ან საწარმოს სტაციონარულ ონიექტებთან შეჯახების, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ადამიანების დაშავება ან ხანძარი.

სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარის ექსპლოატაციის დროს ავარიების წარმოქმნა ძირითადად დაკავშირებული იქნება უსაფრთხოების წესების დარღვევასთან.

საწარმო შედის ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დამტკიცებულ ,,მომეტებულ საფრთხის შემცველი, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოების ჩამონათვალში“ შესაბამისად ვალდებულია ექსპლოატაციის პროცესში გაითვალისწინოს შრომის უსაფრთხოების პირობები, დანიშნოს თანამშრომელი შრომის უსაფრთხოების საკითხებზე, შეადგინოს ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა. თანამშრომლებს სისტემატიურად ჩაუტარდებათ ინსტრუქტაჟი. სახიფათო უბნებზე გამოკრული იქნება გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნები.

8,9 კუმულაციური ზემოქმედება

მოსალოდნელი ზემოქმედების ისეთი სახეების ზემოქმედება, რომლებიც ცალკე აღებული არ იქნება მასშტაბური ხასიათისა, მაგრამ სხვა - არსებული , მიმდინარე თუ პერსპექტიული პროექტების განხორციელებით მოსალოდნელ, მსგავსი სახის ზემოქმედებასთან ერთად საგულისხმო უარყოფითი ან დადებითი შედეგების მომტანია. ამდენად კუმულაციური ზემოქმედების განხილვა უნდა მოხდეს ჯამური ეფექტის მქონე ემისიების შემტხვევაში.

კუმულაციური ზემოქმედებიდან აღსანიშნავია:
მავნე ნივთიერებათა ემისიები ატმოსფერულ ჰაერში;
ხმაურის გავრცელება;
საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენებით გარემოს დაბინძურება.

იმის გათვალისწინებით, რომ სამსხვრევი ხაზის ფუნქციონირებისას წარმოქმნილი მტვრის რაოდენობა უმნიშვნელოა ატმოსფერულ გაერში მავნე ნივთიერებათა მიწისპირა კონცენტრაციების ნორმირებულ მაჩვენებლებზე გადაჭარბება მოსალოდნელი არ იქნება.
ამავე დროს საწარმოს სიახლოვეს არ არის საცხოვრებელი სახლი, დაწესებულებები და სხვა საწარმოები. ამიტომ გარემოზე კუმულაციური ზემოქმედებას ადგილი არა აქვს.



#Hartadaki toplu olan olan
#Kirayadan alınmıştır.#

Новая карта
Здесь можно добавить описание.
Обозначения
???
Объект 1
Объект 2
ბათუმი-ხელვაჩაურის საავტომობილ
პირველი საცხოვრებელი სახლი
შპს „გორა"-ს საშეკუმრეო ტერიტორია
საავტომობილო გზა
მდ. ჭოროხი
Google Earth
Image © 2020 Maxar Technologies
300 m
N


Новая карта
Здесь можно добавить описание.
Обозначения
??? ,,????"-? ????????? ????????
??????
გონიოს ძველი ამორტიზებული ხიდი
წყალჩაშვები ადგილი
მპს „გორა"-ს საშეუერეო ტერიტორია
Google Earth
N
1 km

შპს ,,გორა''-ს, ინერტული მასალების სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოს (მდებარე ქ. ბათუმი, ხელვაჩაური წერეთლის მე-2 შესახვევი)

განლაგების გეგმა



ასლი სწორია

№ 2
GORA
445541717
GEORGIA LTD

გენგეგმის ექსპლიკაცია

1. . ტრანფორმატორი
2. ინერტული მასალის სამსხვრევი
3. ინერტული მასალის ღია საწყობი
4. ნედლეულის (ქვიშა-ღორღი) საწყობი
5. ნედლეულის ბუნკერი
6. ინერტული მასალის ლენტური ტრანსპორტიორი
7. სალექარი
8. ადმინისტრაციული შენობა (ოფისი)
9. საოპერატორო;
10. გამაცხავებელი აგრეგატი;
11. გაწმენდილი წყლის ჩამშვები არხი;
12. ყბებიანი სამხვრევი;
13. ქვიშის გამამდიდრებელი;
14. პანდუსი.

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 05.35.28.525**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882019158758 - 04/03/2019 16:27:53

მომზადების თარიღი
06/03/2019 19:42:50

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
ბათუმი			
05	**35**	**28**	**525**

მისამართი: ქალაქი ბათუმი , შესახვევი წერეთელი , N 2

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 51555.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: **05.35.28.143;**
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N01/1 N02/1 N03/1 N04/1 N05/1 N06/1 N07/1 N08/1 N09/2 N10/1 N11/2 N12/2 N13/1 N14/1 N15/1
შენობა-ნაგებობ(ებ)ის საერთო ფართი: 2409.42

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882015514737 , თარიღი 10/09/2015 11:49:41
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 18/09/2015

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ნასყიდობის ხელშეკრულება N150990313 , დამოწმების თარიღი:09/09/2015 ,ნოტარიუსი ხ.კალანდარიშვილი

მესაკუთრეები:
სააქციო საზოგადოება "მეტრო ბეტონი", ID ნომერი:445464970

მესაკუთრე:
სააქციო საზოგადოება "მეტრო ბეტონი"

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

- საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა: **102019077176 05/03/2019 09:56:06**
  სააქციო საზოგადოება სს მეტრო ბეტონი ს/ნ 445464970
  საგანი: **მთელი ქონება, მთელი ქონება**
  საფუძველი: **შეტყობინება, N0813546, 05.03.2019, შემოსავლების სამსახური**

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

- აკრძალვა: **102019080342 06/03/2019 19:12:31**
  სს მეტრო ბეტონი ს/ნ 445464970
  საგანი: **უძრავი ნივთი: ქალაქი ბათუმი, შესახვევი წერეთელი 2, 05.35.28.525, აეკრძალოს გასხვისება და**

იპოთეკით დატვირთვა.(ნაკვეთის წინა ნომერი:05.35.28.143)
საფუძველი: **განჩინება, N010217716001390904 198-უბრ/16, 10.06.2016, ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია**

- აკრძალვა: **102019080343 06/03/2019 19:13:57**
  სს მეტრო ბეტონი ს/ნ 445464970
  საგანი: **უძრავი ნივთი: მისამართი: ქალაქი ბათუმი, შესახვევი წერეთელი, N 2; საკადასტრო კოდი:, 05.35.28.525, წინა საკადასტრო კოდი: 05.35.28.143. აეკრძალოს გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.**
  საფუძველი: **განჩინება, N2/3226-უბრ, 12.10.2016, ბათუმის საქალაქო სასამართლო**
- აკრძალვა: **102019080344 06/03/2019 19:14:30**
  სს მეტრო ბეტონი ს/ნ 445464970
  საგანი: **უძრავი ნივთი: ქალაქი ბათუმი, შესახვევი წერეთელი 2, 05.35.28.525, ნაკვეთის წინა ნომერი: 05.35.28.143 აეკრძალოს გასხვისება.**
  საფუძველი: **განჩინება, N2/3551-18, 11.10.2018, ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია**

მოვალეთა რეესტრი:

- მოვალე:**DE19048024 02/03/2019 02:49:57**
  სს მეტრო ბეტონი 445464970
  საფუძველი: **აღმასრულებელი: გიორგი ჟიჟაშვილი სუბიექტის დამატება მოვალეთა რეესტრში 02.03.2019 # A19021682-004**
- მოვალე:**DE19045533 27/02/2019 17:10:34**
  სს მეტრო ბეტონი 445464970
  საფუძველი: **აღმასრულებელი: ეთერ შერმადინი სუბიექტის დამატება მოვალეთა რეესტრში 27.02.2019 # A19027897-004**

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი:	**05.35.28.525**	ნაკვეთის დანიშნულება:	**არასასოფლო სამეურნეო**
განცხადების ნომერი:	**882019158758**	ფართობი:	**51593 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)** **51555 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 37N)**
მომზადების თარიღი:	**06/03/2019**		



05/25 მშენებარე ნაგებობა

05/25 შენობა/ნაგებობა

ტყის ფონდი

ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი

ხაზობრივი ნაგებობა

ვალდებულება

იჯარის ხელშეკრულება

წინამდებარე იჯარის ხელშეკრულება (შემდგომში **„ხელშეკრულება“**) დაიდო ბათუმში, **2019 წლის 1 იანვარს** შემდეგ მხარეებს შორის:

ერთის მხრივ, **სს „მეტრო ბეტონი“** (ს/კ445464970 ,იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი გოგოლის ქუჩა N1), წარმოდგენილი მისი დირექტორების **ბ-ნი რაულ კახაძისა** და **ბ-ნი სეზგინ ბარიშ აქაჩის** მიერ (შემდგომში - **„მეიჯარე“**),

და

მეორეს მხრივ **შპს „გორა“** (საიდენტიფიკაციო კოდი: **445541717**, იურიდიული მისამართი: ბათუმი, გონიოს დასახლება, ანდრია პირველწოდებულის ქ.N-69), წარმოდგენილი მისი დირექტორი **ბ-ნი ნოდარ ფალავანდიშვილის** მიერ (შემდგომში **„მოიჯარე“**),

„მეიჯარე“ და „მოიჯარე“ შემდგომში ერთად მოიხსენიება, როგორც **„მხარეები“**, ხოლო ცალ-ცალკე კი, როგორც **„მხარე“**.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. „მეიჯარე“ გადასცემს, ხოლო „მოიჯარე“ სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად დროებით სარგებლობაში იჯარით იღებს შემდეგ მიწის ნაკვეთს (შემდგომში - **„მიწის ნაკვეთი“**):

1.1.1. ქ. ბათუმი, ხელვაჩაური წერეთლის შესახვევი N2 მისამართზე განთავსებული ბეტონის ქარხანის მისამართზე მდებარე „მეიჯარის“ საკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი (საკ. კოდი **#05.35.28.143**) ამ ხელშეკრულებაზე თანდართული სიტუაციური გეგმის შესაბამისად.

1.2. „მოიჯარის“ მიერ „ხელშეკრულების“ შესაბამისად „მიწით“ სარგებლობის უფლება გულისხმობს თავისუფალი და უწყვეტი სარგებლობის უფლებას „მოიჯარის“ მიერ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული მიზნებისათვის გამოსაყენებლად

KİRA SÖZLEŞMESİ

İşbu kira sözleşmesi (bundan böyle ,,**SÖZLEŞME**" Batum'da **1 Ocak 2019 tarihinde** aşağıdaki tarafla arasında tanzim edilmiştir:

Bir tarafta ,,**METRO BETONİ" A.Ş.** (t/n 44546497(Hukuki adresi: Gogoli Sk. No1, Batum) temsile müdürleri **Sayın Raul KAKHADZE ve Sayın Sezgin Bar AKAÇ** (sonradan – ,,**KİRALAYAN**")

Ve
Diğer tarafta **„GORA“** Ltd Şti. (t/n: **445541717**, hukul adresi: Gonio Yerleşimi, Andria Pirveltsodebuli Ca No69 Batum) temsilen müdür **Sayın Nod PALAVANDİSHVİLİ** (bundan sonra ,,**KİRACI" olara anılacak**),

,,KİRALAYAN" ve ,,KİRACI" bundan sonra müştere **TARAFLAR**, münferiden ise ,,**TARAF**" olara anılacaktır.

1. SÖZLEŞMENİN KONUSU

1.1. ,,KİRALAYAN" devreder, ,,KİRACI" ise tica faaliyetlerini gerçekleştirmek üzere geçici süre aşağıda belirtilen arsayi kirayla devralır.
(sonradan -,,**ARSA**"):

1.1.1.,,KİRALAYANIN" mülkiyetindeki Tsereteli S Dönemeci No2 Khelvachauri, Batum adresinde yer al Beton Fabrikasının adresinde bulunan **05.35.28.1** kadastro numaralı Tarım dışı arazi, bu anlaşmaya el olan vaziyet planına göre belirtilmiş işaretli alan.

1.2. ,,KİRACI" tarafından ,,sözleşme" ile öngörül amaçlar doğrultusunda arsanın kullanım hakkı, serbe ve kesintisiz kullanımı ifade etmektedir. (TARAFLA arasında farklı yazılı bir anlaşma olmadıkç ,,KİRACİ" ARSA'nın yalnızca ticari amaçla kullan

უკი სხვაგვარად არ იქნა შეთანხმებული წერილობითი ფორმით „მხარეთა“ შორის). „მოიჯარე“ უფლებამოსილია „მიწა“ გამოიყენოს მხოლოდ **სამეწარმეო საქმიანობისთვის.**

2. საიჯარო ვადა, საიჯარო გადასახადი და ანგარიშწორების წესი

2.1. „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული საიჯარო ურთიერთობა ძალაში შედის წინამდებარე „ხელშეკრულების“ ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 10 წლის ვადით (შემდგომში **„საიჯარო ვადა“**).

2.2. ყოველთვიური საიჯარო გადასახადი **(შემდგომში „საიჯარო გადასახადი“)** შეადგენს:
ა) 2019 წლის 14 იანვრიდან 2020 წლის 14 იანვრამდე წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 18 000 (თვრამეტი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტ ლარს გადახდის დღისათვის დადგენილი ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის შესაბამისად (დღგ გარეშე). გადახდის დაწყება ხდება 2019 წლის 14 აპრილიდან (პირველი გადახდა 14 აპრილს) ყოველთვიური გადახდით კალენდარულ თვეში 2000 (ორი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტ ლარი, გადახდის დღისათვის დადგენილი ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის შესაბამისად (დღგ-ს გარეშე).
ბ) 2020 წლის 14 იანვიდან წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 24 000 (ოცდაოთხი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტ ლარს გადახდის დღისათვის დადგენილი ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის შესაბამისად (დღგ გარეშე). გადახდის დაწყება ხდება 2020 წლის 14 იანვრიდან (14 იანვარს) ყოველ კალენდარულ თვეში 2000 (ორი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ოდენობით (დღგ-ს გარეშე).

2.3 „საიჯარო გადასახადი“ არ მოიცავს ელექტოენერგიის, წყლის, გათბობის კომუნალურ საფასურს. კომუნიკაციებს „მოიჯარე“ აწყობს საკუთარი ძალებით და სახსრებით. „მეიჯარე“ ვალდებულია ხელი არ შეუშალოს „მოიჯარეს“ კომინალური მომსახურების მიღებაში.

2.4 „საიჯარო გადასახადი“-ს გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, „მეიჯარე“ უფლებამოსილია მოახდინოს „მოიჯარის“ წერილობითი გაფრთხილება და დამატებითი ვადის მიცემა, დამატებით მიცემული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდგომ „მეიჯარე“ უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება ცალმხრივად.
2.5 „მხარეთა“ შორის ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო

hakkına sahiptir.

2. KİRA SÜRESİ, KİRA BEDELİ VE ÖDEME ŞEKLİ

2.1. İşbu SÖZLEŞME ile öngörülen kiralama ilişl sözleşmenin imzalandığı tarih itibariyile yürüli girmekte olup, 10 (on) yıl süreyle geçerlidir (sonrac **„KİRA SÜRESİ”**).

2.2. Her aylık kira bedeli (sonradan **„KİRA BEDELİ”**):

a) 2019 Yılı 14 Ocak'dan 2020 yılı 14 Ocak'a kadar yı kira bedeli 18 000 (onsekizbin) ABD dolar karşılığı (dir. Ödeme günündeki Merkez Bankasının belirlec döviz kuru üzerinden (KDV hariç). Ödeme 2019 yılı Nisan'dan başlamak üzere, (birinci Ödeme 14 Nisan' her takvim ayında 2000 (ikibin) ABD dolar karşılığı (olarak, Ödeme günü ndeki Merkez Bankası belirlediği döviz kuru üzerinden (KDV hariç).

b) 2020 Yılı 14 Ocak'tan yıllık Kira bedeli 24 ((yirmidörtbin) ABD Doların karşılığı Gel olacak Ödeme günündeki Merkez Bankasının belirlediği dö kuru üzerinden (KDV hariç). Ödeme 2020 yılı Ocak'tan başlamak üzere (14 Ocak'ta) her takvim için 2000 (iki bin) ABD Doların karşılığı Gel miktarı olacaktır. (KDV hariç).

2.3. "Kira Bedeli" elektrik, su, ısıtma ve benzeri giderl kapsamamakta olup, "Kiracı" kendi kaynaklar masraflarıyla iletişim tesisatını yaptıracak. "Kiralaya her türlü tesisat hizmeti alımında „kiracıya" en olmayacaktır.

2.4. "Kira Bedeli" nin ödenmesinde gecikme olm durumunda, "Kiralayan" yazılı bir uyarıda bulunma „Kiracıya" ek süre verme hakkına sahiptir, ek süre bir sonuç almaksızın geçmesinden sonra, "Kiralay sözleşmeyi tek taraflı olarak feshetme hakkına sahipti

ანგარიშსწორების წესით, მითითებულ „მეიჯარის“ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით:

ბანკი: ტერაბანკი
ბანკის კოდი: TEBAGE22
ანგარიშის N: GE70KS0000000360500348

3. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

3.1. „მეიჯარე“ უფლებამოსილია:

3.1.1. მოითხოვოს „მოიჯარისაგან“ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

3.1.2. მოითხოვოს „მოიჯარის“ ბრალით მიყენებული ზიანის ანაზღაურება იმ შემთხვევაში, თუ „მოიჯარე“ არღვევს „ხელშეკრულებით“ ნაკისრ ვალდებულებებს, იყენებს „მიწას“ ამ „ხელშეკრულებით“ გაუთვალისწინებელი მიზნებისათვის ან აზიანებს მას.

3.1.3. „მოიჯარისათვის“ წინასწარი, ზეპირი ან წერილობითი, შეტყობინების გარეშე მოახდინოს „მიწის“ მიზნობრივი გამოყენების შესრულების შემოწმება.

3.2. „მეიჯარე“ ვალდებულია:

3.2.1. არ ჩაერიოს „მოიჯარის“ საქმიანობაში (გარდა იმ შემთხვევებისა, რაც პირდაპირ არის განსაზღვრული ამ „ხელშეკრულებით“) და მიწის“ გამოყენებაში (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც „მოიჯარე“ „მიწას“ იყენებს ამ „ხელშეკრულებით“ გაუთვალისწინებელი მიზნებისათვის).

3.2.2 საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების დროს უზრუნველყოს საიჯარო მიწის ნაკვეთამდე მისასვლელი გზით „მოიჯარის“ მიერ თავისუფლად სარგებლობა.

3.2.3. უზრუნველყოს „მოიჯარის“ საშუალება საიჯარო მიწის ნაკვეთზე განათავსოს შესაბამისი მიჯნა. არ მოახდინოს ამ მიჯნის დაზიანება, ხოლო დაზიანების შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოახდინოს მიჯნის აღდგენა პირვანდელ მდგომარეობაში.

3.2.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების დროს არ შეზღუდოს „მოიჯარე“ თავისუფლად სარგებლობდეს საიჯარო მიწის ნაკვეთით თავისი სამეწარმეო მიზნების შესაბამისად.

2.5. „TARAFLAR” arasında hesap görme işleminde ödemeler gayri nakdi olup, „KİRALAYANIN” aşağıda belirtilen banka hesabına yatırılacaktır.

Banka: TERABANK
Şube Kodu:TEBAGE22
Hesap No GE70KS0000000360500348

3. TARAFLARIN HAK VE YÜKÜMLÜLÜKLERİ

3.1. KİRALAYAN”ın Hakları:

3.1.1. KİRACI' dan; SÖZLEŞME ile üstlendi taahhütlerini yerine getirmesini talep etme;

3.1.2. KİRACI tarafından SÖZLEŞME taahhütlerin ihlal edilmesi, kira konusunun SÖZLEŞME' öngörülmeyen amaçlar için kullanması veya zar vermesi durumunda, „KİRACI” nın hatasınd kaynaklanan zararın tazminini talep etme;

3.1.3. „KİRACI'YA” önceden yazılı veya sözlü tebliğ da bulunmaksızın „ARSA” nın amacına uyg kullanımını sağlamak amacıyla denetlemede bulun hakkına sahiptir.

3.2. „KİRALAYAN”ın Yükümlülükleri.

3.2.1. „KİRACI”nın faaliyetlerine (bu sözleşme doğrudan belirlenmiş durumlar hariç) ve „ARSA”ı kullanılmasına (KİRACI'nın bu sözleşme öngörülmeyen amaçlar için kullanması durumu ha müdahale etmeyecektir.

3.2.2. Kira sözleşmesinin geçerli olduğu sür kiralanan arsaya kadar gidecek yolun „Kira tarafından serbestçe kullanımını sağlama yükümlüdür.

3.2.3. Kira alanında kiracıya çit yapması müsaade verecek, Bu çitlere zarar vermeyecek, hasar gördü durumlarda ise, çitlerin derhal eski haline getirilme sağlayacaktır.

3.2.2. Kira sözleşmesinin geçerli olduğu sür kiracının kiralanan arsanın kendi ticari amaç doğrultusunda serbest kullanımını engellemeyecekti

3.3. „მოიჯარე“ უფლებამოსილია:

3.3.1. „მეიჯარისგან“ მოითხოვოს „ხელშეკრულებით“ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება;
3.3.2. თავისუფლად სარგებლობდეს საიჯარო მიწის ნაკვეთით, გამოიყენოს ეს ნაკვეთი საკუთარი სამეწარმეო საქმიანობისათვის; მიწის ნაკვეთზე მოახდინოს სამეწარმეო სამიქნობისათვის საჭირო მოწყობილობების, მანქანა-დანადგარების, საოფისე <u>დროებითი</u> შენობის განთავსება.
3.3.3. მოითხოვოს და თავისუფლად სარგებლობდეს საიჯარო ნაკვეთამდე მისასვლელი გზით;
3.3.4 მოახდინოს საიჯარო ნაკვეთის შემოღობვა საკუთარი შეხედულებით.
3.3.5. ,,მეიჯარის“ მიერ ისეთი მოქმედებების შემთხვევაში, რაც შეუძლებელს ხდის საიჯარო ნაკვეთით სარგებლობას მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

3.4. „მოიჯარე“ ვალდებულია:

3.4.1. უზრუნველყოს „საიჯარო გადასახადი“-ს გადახდა „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესაბამისად.

3.4.2. „მიწა“ გამოიყენოს მხოლოდ ამ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული მიზნებისათვის და არ დაუშვას მისი ფუნქციის შეცვლა. „მოიჯარე“ ვალდებულია „მიწა“ გამოიყენოს მხოლოდ წინამდებარე „ხელშეკრულების“ 1.2. მუხლით განსაზღვრული საქმიანობისათვის.
3.4.3. „მოიჯარე“-ს უფლება არ აქვს „მეიჯარის“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე ქვეიჯარით გასცეს „მიწა“ ან/და მისი ნაწილი.
3.4.4. ,,მეიჯარის“ წერილობითი ნებართვის გარეშე ,,საიჯარო მიწის ნაკვეთში“ არ მოახდინოს ნებისმიერი სახის შენობის განთავსება.

4. ხელშეკრულების შეწყვეტა

4.1. „ხელშეკრულება“ შესაძლებელია შეწყდეს შემდეგ შემთხვევებში:
4.1.1. „მხარეთა“ ორმხვრივი წერილობითი შეთანხმების შემთხვევაში;
4.1.2. „საიჯარო ვადის“ გასვლის გამო (თუ მოცემული ვადის გასვლამდე „მხარეები“ წერილობით არ შეთანხმდებიან „საიჯარო ვადის“ გაგრძელებაზე).
4.1.3. ,,მეიჯარის“ მიერ ცალმხვრივად საიჯარო ქირის გადახდის 2 თვით გადაცილების და დამატებით მიცემული გადახდის ვადის უშედეგოდ გასვლის

3,,KİRACI”nın Hakları:

3.3.1.,,KİRALAYAN”dan SÖZLEŞME deki taahhütlerin yerine getirmesini talep etme;
3.3.2. Kiralanan arsanın serbestçe yararlanması, b arsayı kendi ticari faaliyetleri için kullanması; Tica faaliyet için gerekli ekipman, makine ve ofis binasını arsa üzerine <u>geçici olarak</u> yerleştirilmesi;
3.3.3. Kira alanına kadar giden yolun serbestçe kullan ve bu hakkı talep eder,
3.3.4. Kendi takdirine göre kira alanın çitle çevrilme hakkına sahiptir,
3.3.5. "Kiralayan" tarafından, arsanın kullanılması imkansız kılan bir faaliyetin vuku bulması durumund zararın karşılanmasını talep etme hakkına sahiptir.

3.4. **,,KİRACI” nın Yükümlülükleri:**

3.4.1.,,KİRA BEDELİNİ” SÖZLEŞME'de öngörül taleplere uygun olarak ödemekle;

3.4.2. ,,Arsayı” yalnızca işbu SÖZLEŞME ile öngörül amaçlara yönelik kullanarak, fonksiyonu değiştirmemekle. Kiracı ARSA'nın yalnızca iş SÖZLEŞME'nin 1.2. maddesiyle belirlenen faaliyet i kullanmakla yükümlüdür.
3.4.3. Kiracı, arsayı kısmen veya tamamen, Kiralayar önceden yazılı muvafakat olmaksızın, alt kiracıl kiraya verme hakkına sahip değildir.

3.4.4. KİRACİ kiralanan alanda KIRALAYANIN on olmadan betonarme yapı ve kalıcı yapı yapamaz.

4. SÖZLEŞMENİN FESHİ

4.1. SÖZLEŞME aşağıdaki durumlarda feshedilebilir:
4.1.1 TARAFLAR 'ın iki taraflı yazılı mutabakatıyla;
4.1.2. KİRA SÜRESİ nin sona ermesi dolayısıyla (süre sona erinceye kadar TARAFLARIN SÖZLEŞ SÜRESİ nin uzatılmasıyla ilgili yazılı mutabal varmadıkları takdirde).

ალთხვევაში.

4.1.4 მხარეების მიერ 6 თვით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

4.2. ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ (ვადის გასვლა, მხარეთა შეთანხმება) „მოიჯარე" ვალდებულია გაათავისუფლოს მიწის ნაკვეთი მისი კუთვნილი ინვენტარის, მანქანა-დანადგარებისაგან.

4.3. გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა ხელშეკრულების ვადამდე ცალმხვრივად შეწყვეტა დაუშვებელია. თუკი რომელიმე მხარე ფაქტობრივი მოქმედებით მაინც შეწყვეტს ხელშეკრულებას, ვალდებულია სრულად აანზღაუროს ამით მიყენებული ზიანი და გადაიხადოს პირგასამტეხლო 100000 (ასი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით.

5. ფორს-მაჟორული გარემოება

5.1. არც ერთი „მხარის" მიერ წინამდებარე „ხელშეკრულების" პირობების დარღვევა ან შეუსრულებლობა არ გამოიწვევს ამ „მხარის" წინააღმდეგ მოთხოვნის წარმოშობას ან არ განიხილება წინამდებარე „ხელშეკრულების" დარღვევად, თუ ეს დარღვევა ან შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს მაჟორული გარემოებით, რომლის წინასწარ განჭვრეტა ან თავიდან აცილება მოცემულ „მხარე"-ს არ შეეძლო მიზანშეწონილი ზომების მიღებით. ეს განსაკუთრებული გარემობები მოიცავს: წყალდიდობას, ხანძარს, მიწისძვრას და სხვა სტიქიურ უბედურებას, აგრეთვე ომს, სამხედრო მოქმედებას, გაფიცვას, აჯანყებას, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას, სამთავრობო მოქმედებებს ან სხვა მსგავს ხდომილებებსა თუ მოქმედებებს.

5.2. „მხარე", რომელიც აცხადებს ფორს-მაჟორული გარემოების დადგომას, გათავისუფლდება თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებებისაგან მხოლოდ იმ ზომით, რამდენადაც ფორს-მაჟორული გარემოება ხელს უშლის მის მიერ ვალდებულებების შესრულებას და იგი არ განთავისუფლდება ამ „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულებისაგან, რომელსაც არ აფერხებს ფორს-მაჟორული გარემოება.

5.3. „მხარე"-მ, რომელსაც შეეხო ფორს-მაჟორული გარემოება, უმოკლეს ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს 10 (ათი) დღისა ასეთი გარემოებების დადგომიდან, ვალდებულია აუწყოს მეორე „მხარე"-ს ამ გარემოების

4.1.3. KİRACI" tarafından kira süresinin 2 (iki) a gecikmesi ve verilen ek süresinin bir sonuç almaksızı geçmesi durumunda;

4.1.4. işbu sözleşmeyi süresi dolmadan tek taraf feshetme hakkına 6 ayı önceden bilgi vermek şartiyle;

4.2. Sözleşmenin sona ermesinden sonra (sürenin son ermesi, tarafların anlaşması), "kiracı", arsada bulun kendi mülkiyetindeki malzemeleri, makine ekipmanla tahliye etmekle yükümlüdür.

4.3. Bu maddede belirtilen durumlar haricinde , b sözleşmenin süresi dolmadan tek taraflı feshi mümkü olmayacaktır. Taraflardan herhangi biri sözleşme emrivaki feshederse, Ziyan ve zararı tam olar karşılayacak ve sözleşmeyi ihlal bedeli olarak 100.0 (yüzbin) ABD Doları miktarında ceza ödeyecektir.

5. MÜCBİR DURUMLAR (FORS MAJÖR)

5.1. İşbu Sözleşme Şartların ihlali ve gerçekleştirilememesi; tarafların önceden öngörülme veya kaçınılması mümkün olmayan mücbir sebeplerd kaynaklandığı takdirde, tarafların hiç biri tarafind işbu sözleşme şartları ihlali veya gerçekleştirilememe ihlal eden tarafa karşı talep oluşturmaz veya iş sözleşmenin ihlali olarak değerlendirilmeyecekt Mücbir sebepler: sel, yangın, deprem ve diğer doğ afetler, askeri eylemler, savaş, grev, isyan, olağanüs durum, Hükümetin uygulamaları ve diğer benz eylemleri içermektedir.

5.2.Mücbir durumu beyan eden taraf; sadece mücl sebeplerden dolayı gerçekleştiremediği sözleşı yükümlülüklerinden bu durumun engel oldu kadarıyla muaf tutulacaktır ve işbu sözleşme öngörülen ve mücbir sebeplerden etkilenmeyen diğ taahhütlerinden muaf olmayacaktır.

5.3.Mücbir duruma maruz kalan taraf; en kısa zaman

ეახებ შესაბამისი აღწერით, რაც შესაძლებლობის შემთხვევაში დადასტურებული უნდა იქნეს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული სათანადო დოკუმენტაციით. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი შეტყობინება არ იქნება გაგზავნილი მითითებულ ვადაში, „მხარე", რომელმაც დაარღვია ვალდებულებები ფორს-მაჟორული გარემოებების გამო, ვერ შეძლებს გამოიყენოს ასეთი გარემოებები, როგორც პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი.

5.4. „მხარე"-ს, რომელიც აცხადებს ფორს-მაჟორული გარემოების დადგომას, მიზანშეწონილ ფარგლებში გაუგრძელდება ვადა იმ ვალდებულებების შესრულებისათვის, რომელსაც ხელი შეუშალა ან შეაფერხა ფორს-მაჟორულმა გარემოებამ.

5.5. იმ შემთხვევაში, თუ ფორს მაჟორული გარემოება გაგრძელდა 45 (ორმოცდახუთი) დღეზე მეტი ვადით, მაშინ „მხარეებს" შეუძლიათ მოშალონ წინამდებარე „ხელშეკრულება".

6. დავების მოგვარება

6.1. „ხელშეკრულება" წესრიგდება და განიმარტება ქართული კანონმდებლობის შესაბამისად, წინამდებარე „ხელშეკრულება"-სთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა განსახილველად გადაეცემა საქართველოს შესაბამის სასამართლოს.

7. დასკვნითი დებულებები

7.1. წინამდებარე „ხელშეკრულების" პირობების ნებისმიერ ცვლილებას ან დამატებას ძალა აქვს იმ შემთხვევაში, თუ შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია ორივე „მხარის" მიერ.

7.2. მოცემული „ხელშეკრულების" რომელიმე მოთხოვნის ან პირობის ნებისმიერ დროს ძალადაკარგულად, ბათილად, არაკანონიერად ან განუხორციელებლად ჩათვლა არ იქონიებს გავლენას წინამდებარე „ხელშეკრულების" დანარჩენი პირობებისა და მოთხოვნების იურიდიულ ძალაზე, კანონიერებასა და განხორციელებადობაზე. ასევე, შეთანხმებულია, რომ „მხარეები" ყოველ შესაძლო ზომას მიიღებენ, რათა ამგვარ ძალადაკარგულ დებულებაში შეტანილ იქნას ცვლილება ან შეიცვალოს იურიდიული ძალის მქონე მსგავსი შინაარსის დებულებით, რათა შესაძლებელი იყოს „ხელშეკრულების" მიზნის შენარჩუნება.

8. ხელშეკრულების ეგზემპლარები და მხარეთა ხელმოწერა

8.1. „ხელშეკრულება" დადებულია ქართულ და

fakat en geç 10 (on) gün içerisinde; bu durun açıklayarak ve ilgili makam tarafınca verilm dokümanlarıyla; diğer tarafı bilgilendirmek yükümlüdür. Belirtilen sürede bildiri gönderilmedi takdirde, ihlal eden tarafın bu durumu, mücb sebeplerden kaynaklı yükümlülüklerinden mu tutulması gerekçesi olarak kullanamayacaktır.

5.4. Mücbir durumu beyan eden taraf; mak çerçevelerde mücbir sebeplerden dola gerçekleştiremeyip geciktirdiği yükümlülükleri yerir getirebilmesi için süre uzatılacaktır.

5.5. Mücbir durumun 45 (kırkbeş) günden fazla sürdüğ takdirde, taraflar işbu sözleşmeyi feshetme hakkır sahiptir.

6.ANLAŞMAZLIKARIN ÇÖZÜMÜ

6.1. SÖZLEŞME; Gürcistan Mevzuatına uygun olara tanımlanmaktadır. İşbu SÖZLEŞME ile alakalı tüı davalar ilgili Gürcistan Mahkemesine sevk edilecektir.

7. NİHAİ HÜKÜMLER

7.1. İşbu SÖZLEŞME şartlarında herhangi bir değişikli veya ek; her iki TARAFCA yazılı olarak imza altın alındığı durumda geçerli olacaktır.

7.2. İşbu SÖZLEŞME'nin herhangi talep veya şartını yürürlükten kaldırılması, batıl, gerçekleştirilemeyece veya yasadışı olduğunun kabul edilmesi, işb SÖZLEŞME'nin diğer talep veya şartlarının yasa olmadığı, gerçekleştirilemeyeceği veya hukuk geçerliliğini etkilemez. Ayrıca, TARAFLAF SÖZLEŞME amacının korunması adına, benzer bat hükümlerde değişiklik yapılması veya hukuki geçerliliğ olan diğer hükümle değiştirilmesi için tüm tedbirleri alınmasına dair anlaşmışlardır.

8. SÖZLEŞMEMİN NÜSHALARI VE

ერქულ ენებზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად.

8.2. „მხარეები“ ადასტურებენ, რომ ისინი წინასწარ გაეცნენ „ხელშეკრულების“ დებულებებს და მათ სრულად ესმით ამ დებულებათა შინაარსი.

„მეიჯარის“ სახელით

ბ-ნი რაულ კახაძე

ბ–ნი სეზგინ ბარიშ აქაჩ

„მოიჯარის“ სახელით

ნოდარ ფალავანდიშვილი

TARAFLARIN İMZALARI

8.1. SÖZLEŞME; Gürcü ve Türk dillerinde olmak üzere, eşit hukuki geçerliliğe sahip olan 3 (üç) nüsha olarak düzenlenmiştir.

8.2. TARAFLAR SÖZLEŞME hükümlerini önceden incelediklerini ve içeriğini kabul ettiklerini beyan ederler.

,,KİRALAYAN ''ın adına

Sayın Raul KAKHADZE

Sayın Sezgin Barış AKAÇ

,,KİRACI'' adına

Nodar PALAVANDISHVILI



#Hanitadaki faali olan alani
#Kirayaxarebulia.#

#ოთხი ეტიკეტიანი#
#ოთხი ეტიკეტიანი#